

29
1919

სამშაბათი,
თებერვლის 11.

(იანვარს 28).

1919 წელი.

№ 29.

ფასი 50 კაპ.

ეროვნული
გინჯი

ს
ა
ს
ი



დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.



პირველ ნომერს! ნომერი მენშევიკურა!
ნომერი ინტერნაციონალიზმისა, მენ შოკაძე მენი დრო!

მეორე ნომერს! ნომერი ხელ-თბილი „დემოკრატიისა“!
ნომერი მონაპოვლისა — სპეკულიანტებისა, მენი დრო არ დადგება!

მესამე ნომერს!
ნომერი ქართველი მეურნისა —
მიწის შესაკურთხისა! ნომერი
ქართველი ნაციონალისტებისა!
და ვარ შავარი ისე, როგორც
„სალი კლდე“!



მერიდეთ!

საქართველოს ეროვნული პარტიის

საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია „საქართველო ჯერ ქართველებისათვის“!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ ქვეყნის საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნამულის ჩამორთმევა მოხდეს სხვაგვარად ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სხელმწიფო მოსაზრებით (ქართველ კაცებს და დასახლებებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა ვადი-ღებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნეპოლიტიკური იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აქვთ ქალაქის მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხი და სულ სხვისი საკუთრების წარმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის შესაკურთხის მისდგებიან!

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონაპოვლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა — მუდმივი გეგული არული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელთა კონფესიის დოგმათი და მთავრობა მეტის პარტიის ცემით მოეყაროს ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნებებს.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-დემოკრატებს“ (გაზეთ „საქართველოს“) არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მიჩანალო პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.
მამულიშვილნო, მხოლოდ, „საქართველოს ეროვნული პარტია“, დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე“ სახელმწიფოებრივ პროგრამას.

ს ი ა № 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ კანდიდატები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. ვაბაშვილი რევაზ (ლევანდო) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. ვაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. კაპანელი (ქანტუაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. ეკალაძე ია. (კინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე;
17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. ლუღუშაური ბართლომე; მღვდელი.
20. ივანიცი ტარასი; დეკანოზი.
21. მამრადე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. სიღამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
23. ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. ქასრაშვილი კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მუჟრნე.

თფილისი, თებერვლის 10

ოგი და ბ. გეგეჭკორი.

ერმა უნდა იცოდეს ის, რაც ხდება დღეს მის გარშემო. ყოველი ქართველი სავსებით უნდა შესწავდეს იმ ხიფათს, რომელიც მოელის ჩვენს სამშობლოს, ჩვენს თავისუფლებას.

მუქარა აღიმართა არათუ რევოლუციის მონაპოვარზე და ეროვნულ-მოქალაქობრივ გამარჯვებათა წინაღმდეგ, არამედ იგი უპირებს შემუსრვას თვით ჩვენ სამშობლოს და მშობელ ხალხს.

სამწუხაროთ და სავალალოთ ჩვენმა გარეშე საქმეთა სამინისტრომ თავის მოქმედებით ყოველივე რწმენა და გვიკარგა თვისდამი და ჩვენ არ გვჯერა არც მისი ლათაიები და ამჟამად მოგახსენებთ ნაკლები წარმოდგენისა ვარა მის სადღეისო და მომავალ კურსზე.

ბნი გეგეჭკორი საბედისწერო კვალით აღინიშნა საქართველოს აწმყო ცხოვრებაში. მისი პოლიტიკა ეროვნულის თვალსაზრისით მთლათ პასუხია და მკვდარი შინ და გარეთ.

გარეთ ჩვენი სამინისტრო კვლავ ეროვნულ სახელმწიფოსათვის უჩვევ და უცხო ინტერნაციონალურის ენით ლაპარაკობს და არმიყაფს ისეთ საზოგადოებრივ წრეებთან, რომელნიც მეტათ ნაყლებათ ეკუთნიკებათ იმათ, ვისგანაც დღემდის დადებითი პასუხია მოსული და ვის ხელშია ცერჯერობით მსოფლიოს ბედია ჩავარდნილი.

შიგნით მთლათ მკვდარი და მიძინებულა ის გრძობა, რომლიც დღეს სუვერენიტეტს უნდა სკარბოდეს.

ჩვენ გვაწარმოვებინეს ამჟამა ომები და გარეშე საქმეთა სამინისტრომ ისეთის საფერავით შეღება და ისეთის ბურუსით შემოსა, — რომ ქართველმა ერმა არ იცის დღემდის — ბორჩალოში ომი გვექონდა სომხის ერთან სამშობლოს დასაცველად, თუ ავანტიურისტებს და ავაზაკებს ევოგემოდით უბრალო ყაჩაღებისათვის? ერმა არ იცის, რისთვის აღითხარნენ ძვირფასი სამარტნი სამშობლოს ხსნისათვის თუ ვინმე მცარტველთა დასჯისათვის? ყოველი ომი ძვირათ უჯდება ქართველ ერს ბ. გარეშე საქმეთა მინისტრის უმეტრებისათვის. ბრმა ყვათ მხოლოდ მაშინ დაიჩავლებს ბნი მინისტრი, როცა თავში მორტყმული კვტი დაარტიავენს.

ისეთის რეგვენულის დაქინებით გვიქარწყლებს ხოლმე ბნი გეგეჭკორი უკვე მომხმარ ფაქტს, რომ კაცმა არ იცის ასე მწარეთ რით დაგვეცინა ბედმა და ეს ბრმა აღამიან რად მიახტა ისეთ ადგილს საცა კაცს დღეს ასი თვალი და ასი ყური უნდა ჰქონდეს.

დაგვეცნენ სომხები, ამოგვეღიტეს მოღარაჯენი, გაღმოლახეს კორინჯ-ტატურის კამენკან ხაზი, მოადგენ სადახლოს და ღმანის და მინისტრი პარლამენტდამ არწმუნებდა აქ ქართველ საზოგადოებას და იქ სასიკვდილოთ განწირულს ჯარს — რომ მხოლოდ გაუგებრობა სომხებთანაო.

სწორედ ასეთივე ამბავი მოხდა ახალციხე-ახალქალაქში. ასეთივე ამბავი სიტყვა სიტყვით განმეორდა სოქაში. გენ. კონიაშვილი ატყობინებს ყვლიაფერს, სთახეს დახმარებას და ბნი მინისტრი კი ანუ-გემებს სრულიათ უსაბუთოდ, რადგან იმ საბუთებს, რომელსაც ინგლისის წარმომადგენლები აქ იძლეოდენ მხოლოდ ისეთი უტიფარი აღამიანის თვალში უნდა ჰქონოდა, ფასი, რომელსაც გარეშე საქმეთა მინისტრობა კი არა, ჩვენში რომ იტყვიან, ოთხი თხის პატრონობა არ მიებარება.

ყოველი ჩვენი ომი ასეთი ბეცი პოლიტიკის წყალობით ერთი და იმავე საბედისწერო სურათით იწყება. მინისტრის ტელეგრამებით დაიმედებულს, ხიფათის არ მომლოდინე ჯარს თავს ესხმის მტერი და ან მმუსრავს ან ტყვეთ მიუდის. შემდეგ აღსდება ერი სამშობლოს დასაცველად, აღიმართება მისი მარჯვენა აქტიურად და ბატონ მინისტრს მზად აქვს ცოვი წყალო.

თუ საქართველო და ქართველი ერი იქამდის ბრმა და მოუშვადებელია, რომ იგი არ გრძობს მთელ იმ დანაშაულს, რომელიც ჩადინეს ბორჩალოს ომის შემტრებით და ერის მოზღვავებულ ენერგის ჩანელებით — იგი მართლა ღირსი არა ყოფილა სახელმწიფოებრივი ცხოვრებას! დღეს ყველა ვგრძობთ ამას, მაგრამ ჩვენი გულკეთილობის წყალობით დანაშაული ვაპატივეთ და ყველაფერი დავიწყეთ.

ბევრმა ვიცოდით და ჩვენ პარლამენტდამანაც აღვნიშნეთ და ეხლა კი ყველა ვგრძობს, თუ როგორ წავაგეთ იქაც, საცა მოგვებს ვაპირებდით.

ინგლისის აქაური წარმომადგენლობა სწორედ ბორჩალოს შემდეგ დარწმუნდა, რომ საქართველო ისეთი ხალხის ხელშია რომ რასაც მოინდომებდა, იმას ჩადინდა. და მას შემდეგ ცინიკურის მოუჩიდებლობით დათარეშობს არა თუ ბათუმში და საზღვრებზე, არამედ თბილისშიაც, ჩვენ საქმიანობაშიაც...

ქართველი ერი გრძობს ამას. არა გრძობს მხოლოდ გარეშე საქმეთა მინისტრი და ქარაფშუტა თავმოწონებით, უცხადებს პრესის წარმომადგენელთ, რომ მისი პერსონა და პოლიტიკა ძალიან მოსწონს ინგლისის გენერალს.....

კმარა ამდენი შეცდომა და დანაშაული.....

ერს ასეთი პასიობა ვერ იხსნის. ერი გაღმომლის საქმით იმას, რასაც გრძობს და აჩვენებს ბნი ინგლისის გენერალს რომ სხვანაირი მოსაწონი თვისებებიც აქვს ქართველ ხალხს. აჩვენებს რომ ბრიტანიის წარმომადგენლობა ზულუსთა ქვეყანაში კი არ არის მოსული, არამედ ისინი არიან მოსულნი ისეთ ქვეყანაში, რომლის მრავალსაუკუნოებრივი ისტორია არის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და ამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არის ნაკვეთი მისი კულტურაც და ეროვნული სახიერებაც. აქ ის ხალხია რომელმაც არაფის არ შეარჩინა ვერავი პოლიტიკა, და ამ ასი წლის წინეთ ამ ევრაგობისათვის არა ერთი და ორი რუსი გენერლის თავი ვაგზანა დამარტებული უკან

პრემის მაგივარი

ამას წინად ვაზ. „საქართველო“ ჩიოდა, რომ გორის მახრამი და სხვაგან ვილაც ბოროტგამზრახველები ავრტყლებენ ხმას, ვითომ ეროვნულ-დემოკრატებმა უღალატეს პროგრამას და შეუერთდენ სოციალ-დემოკრატის უმთავრეს საკიფებში, აგრარულში, ომისა და ზავის და სხ. და რომ მეორე ნომერი აღარ ასრულებს თვის დაპირებათ, აღბად ამ ხმების შიშით, „საქართველოს“ № 31-ში მოთავსებულა წერილი ბნი ვაზვასი, „მიწის საკითხი“. რაც სწერია:

„ბევრი საკითხები (მიწის შესახებ), სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით თუ შეხედავ, უარყოფილია და უყურადღებოდ დატოვებული“. და

„ჯერ ჩვენი შეგნება და სინიღისი სრულებით ვერ ურიგდება იმას, რომ მიწა ჩამორთმეულ იქმნას უსასყიდლოდ. უსასყიდლოდ ჩამორთმევა არის ტაციობა და ყაჩაღობა“... და

„როცა სახელმწიფო ადგება ყაჩაღობის გზას, იგი მხოლოდ ბუღდა ან უზურპატრების, ან უბრალო ბანდიტებისა“... და „მიწის ფასი, თუ რეფორმა საკირო, უნდა დააწვეს მთელ ერს და არა მხოლოდ ერთ კლასს“... და

„იმისთანა მეურნეობა, სადაც დაბანდებულია მრავალ წლების განმავლობაში ბევრი-შრომა, ფული და ენერგია, ყოველთვის მეტ ნაყოფს იძლევა, მაშასადამე ეროვნული სიმდიდრე უფრო იზრდება“... და „უმიწაწყოლო გლეხი მიწას ვერ შეიძენს და თუ შეიძენს, ვერ დაიმუშავებს, რადგანაც აქაც საკიროა ფული, ხარკამერი და სხ“... და

აღამიანს ეგონება, რომ ეროვნულ-დემოკრატული პარტია მართლაც დასდგამა გონიერულს სახელმწიფოებრივ გზას და მიწის საკითხზე ასეთი საღი მოსაზრებისა არის.

მაგრამ ნუ დავავიწყებთ, მკითხველო, პირველი აბზაცი ამ წერილსა და თქვენ აღვიღად მიხედებით, რომ ეს „გონიერი აზრები“ მოპარულია „საქართველოს ეროვნული პარტიის“ პროგრამიდან და ეროვნულ — დემოკრატებმა ამაზედ უკვე ცხრაჯერ უარი სთქვეს, როგორც პეტრე მოკიქულმა ქრისტეზედ — ძლიერთა შიშით. „საქართველოს“ დაავიწყდა, რომ სულ

რამდენიმე ნომრის წინად იგი სწერდა: „მიწის საკითხი ჩვენს სამშობლოში მოკრატის შორის არსებობს განსაკუთრებული ალარ არის, საქმე მხოლოდ დეტალურა“... — ო.

ეს დეტალები აღბად „ყაჩაღური წესია“; „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი“; „მეურნეობის მნიშვნელობა“; „უსასყიდლოთ წართმევა, როგორც ბანდიტებმა იციან“; „უმიწაწყოლო გლეხი ვერას შეიძენს“ და სხ. და სხ.

როდესაც მიწის საკითხი სწყდებოდა კონკრეტულად პარლამენტში და არა მარტო სურვილების გამართქმანე მიღდა საქმე მაშინ ეროვნულმა-დემოკრატამ დაუჭირა მხარი მუხლ-მუხლობრივ ამ „ყაჩაღურ-ბანდიტურ“ კანონპროექტს და უფრო შორსაც წავიდა: როცა შემოტანილი იყო დამატებითი კანონპროექტი, რომლის წყალობით ოსებს, სომხებს, რუსებს და ყველა ჩვენ მტრებს ჩამორთმეული მიწები ემდევათ უფასოდ (მაშინ როდესაც ჩვენს ქართველ გლეხებს ერთმევათ დესეტინაზედ ასთუმამდე), — ეროვნულმა დემოკრატამ მხარი დაუჭირა ასეთ ვერაგულ კანონპროექტსაც.

„საქართველო“ იმასაც სწერდა და სწერს, რომ ახლა სოციალ-დემოკრატია აკეთებს „ეროვნული დემოკრატის საქმეს და გაუგებრობაა, რატომ მათ არ უთმობს სახელმწიფოს სკიროა“. მაშასადამე პრინციპიალური განსხვავება აღარა ყოფილა და დავა მხოლოდ ადგილებზეა, თუ ვინ უნდა იყოს მინისტრებად რამიშვილი და ქორდანია, თუ ქიქოძე და ვაზვავა.

სახელმწიფოსათვის კი, ვგონებთ, ერთნაირად საზარალო და „ბანდიტურია“, ვინ განახორციელებს „ბანდიტურ“ კანონებს.

და როცა ამის შემდეგ „საქართველო“ ჩივის ბოროტგამზრახველების ვავრტყლებულ ხმებზედ, ჩვენა გვგონია ეს ბოროტგამზრახველები მათსავე პარტიაში არიან, რადგან „საქმემან თქვენმან ვამოგაჩინათ“ თქვენ და რაშუაშია აქ სხვისი ხმები: თქვენვე სწერთ და საქმითაც ამტკიცებთ, რომ თქვენსა და სოციალ-დემოკრატის შორის განსხვავება აღარ არისო. და ვიღას ემდურით, პროგრამის ლალატს ტყუილად გვაბრალებენო, რაც მოგვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ნათქვამია და შეტადრე თქვენს პარტიას, საცა იმდენი პროგრამაა, რამდენი თავიცაა, დავითაც და გერონტიცა.

მიწის საკითხი.

მიხეილ მაჩაბლის სიტყვა*.)

ბატონებო, პარლამენტის წევრნო! მომხსენებელმა აღიარა რომ ეს კანონპროექტი ყოფილსანადელო-სახანინო, სახანინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად აღიარების შესახებ უღავოდ იყო მიღებული კომისიაშიო. მე უნდა აღვნიშნო, რომ სოციალ-დემოკრატების გარდა არავინ იყო კომისიაში და რასაკვირველია უღავოდ იქნებოდა ეს კანონპროექტი მიღებული. (ხმა მარცხნიდან: ვისი ბრალია რომ არ მოხვედით!)

მე გთხოვთ მომცეთ ნება, რომ ჩვენი აზრი ამ კანონპროექტის შესახებ აქ მინტ გამოვთქვა, რადგან აგრარულ კომისიის უკანასკნელ კრებაზე როცა მე მიველ ჩვეულებრივ საღამოს შედ საათზე კანონპროექტი უკვე მიღებული ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს რომელიც ექვს საათზე შეკრფილიყვენ და მე ნება არ მომცეს. ორიოდ შესწორება მინც შემეტანა. აი ამის შემდეგ ბატონ მომხსენებელს ის მინც აღარ უნდა ებრძანებინა, რომ კანონპროექტი უღავოდ იქმნა მიღებული აგრარულ კომისიის მიერო.

ეს კიდევ არაფერი თვით სათაურიც კანონპროექტისა შეუფერებელია მაგრამ ამაზე მეტ მოგახსენებთ. აქ წარმოდგენილია მარტო კანონპროექტი, ნახევარ ფურცელზე *.) თქველა პარლამენტში.

ზე მოთავსებული, მას არ აქვს დართული არც ციფრები, არც დასაბუთებული აზრი. კანონი კი ეხება ორ მილიონ ყოფილ გლეხობას და სამ მილიონზე მეტს მიწის რაოდენობას. 26 მისი, როცა ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, თქვენ დაამტკიცეთ ის კანონები, რომლებიც გამოცემული იყო ძველ მთავრობის მიერ და რომლებიც ეხებოდნენ გლეხთა უფლებებს. ესაა რასაკვირველია თქვენ შეგვიძლიანთ იმ კანონების გაუქმება მაგრამ თქვენ ჯერ ესეც არ მოგიხდენიათ და შემოგაქვთ ასეთი დაუსაბუთებელი კანონპროექტი, რომელიც არის მხოლოდ დარღვევა, უადრესი დარღვევა ჩვენის მეურნეობისა.

კანონმდებელს ხომ ამ კანონპროექტით გამოეცხადებინა: მიუხედავად საქართველოში მყარდება კერძო საკუთრება ეს მისაღები იქნებოდა.

ჩვენ მომხრე ვართ რომ საქართველოში მიწებზე იყოს დაწესებული კერძო საკუთრება. დღევანდელი თქვენი კანონპროექტი კი ჩამოყალიბებულია ისეთ ფორმად, რომ იგი დიდ არე-დარევის გამოიწვევს და ამიტომ არ შეგვიძლიან დაწერილებით არ შევეხეთ მას.

ვნახოთ ჯერ სათაური ამ კანონპროექტისა. აქ სწერია. კანონპროექტი ყოფილ სანადელო, სახიზნო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად აღიარების შესახებ. მაშასადამე როგორც ხედავთ ამ კანონპროექტის ძალით ყოველგვარი მიწები კერძო საკუთრებად უნდა იყოს აღიარებული თვით თავდაზნაურობა რომელიც ესარჩლებოდა გლეხებს (ხმა: თავდაზნაურობა ესარჩლებოდა?) დიხ, ესარჩლებოდა — იგი უმტკიცებდა მაშინდელ მთავრობას, რომ იგი, დროებით ვალდებული თუ სხვა, ყოველ გლეხს სახაზინო ერთი და იგივე უფლება და ერთი და იგივე მოვალეობა უნდა ჰქონოდა.

გასაოცარია სწორედ ის გარემოება, რომ დღეს რევოლუციის ხანაში ჩვენ კიდევ ვერ დავივიწყეთ ძველი დანაწილება გლეხკაცობისა და ძველებურად ვსთხზავთ კანონებს „ყოფილ სანადელო, სახაზინო, და სხვა მიწების კერძო საკუთრებად აღიარების“ შესახებ.

განა დრო არ არის ყოველი სოფლის მეურნე, სოფლის მუშაკი ერთი უფლებით და ერთი მოვალეობით და სახელწოდებით ვლიაროთ და ძველი ნაშთები სრულიად გავაუქმოთ?

სოციალისტები ბრძანდებით და ცხობრებაში ისეთი აზროვნება და შემოქმედობის ნიჭი ვერ გამოიჩინეთ, როგორცა ჰქონდა ახლო წარსულში თქვენგან დევნილს და ათვალწუნებულს თავად აზნაურობას. გეცინებათ? არა გჯერათ? მაშ, აბა მოისმინეთ ის მოსაზრება თავად აზნაურობისა, რომელიც დაბეჭდილია ამ წოდების დამტკიცებულ მოხსენებებში.

„თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის არაჩვეულებრივმა კრებამ, თავის სხდომაზე, რომელიც მოხდა 5 ივნისს 1907 წელს დაამტკიცა მოხსენება „სამიწადმოქმედო კომისიისა“.

ეს ხანა, რეაქციის ხანა გახლდათ და თავად-აზნაურობას შეეძლო გლეხკაცობაზედ სულაც არ ეზრუნა, მაგრამ სწორედ ამ დროს თავად-აზნაურობა თავის წოდების ინტერესებზე კი არა ზრუნავდა, არამედ გლეხკაცობაზე. იცინეთ, იცინეთ: აი რა სწერია ამ დამტკიცებულ მოხსენებაში.

„არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოში ყველა მიწაზე მომუშავე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი უფლებით და ყველა თანამართლდეს ინაწილებდეს სახელმწიფო მოვალეობასაც. დაყოფა გლეხების უფლებებისა, მდგომარეობისა და მოვალეობის მხრივ, სხვა და სხვა კატეგორიებით, არის რაღაც ანაქრონიზმი და წარსულის ნაშთი. მაგრამ ვეჭვობთ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი სრული გათანაწილება უფლებრივი. სანამ არ მოხდებ-

ბა სრული ლიკვიდაცია დროებით ვალდებული მდგომარეობისა სხვადასხვა სერვიტუტებისა და ბატონ-ყმობის ყველა ნაშთებისა და აგრეთვე მათა საკითხის სამართლიან გადაწყვეტამდე.

ამიტომ თავად-აზნაურობა მოვალეობად რას შეადგომლობა კავკასიის ნაწილში ნიჭის საშუალებით სახელმწიფო დუმის წინაშე, რომ მოახდინოს საბოლოო ლიკვიდაცია ყველა ზემოაღნიშნულ დამოკიდებულებათა და ბატონ-ყმობის ნაშთისა“.

ამის შესახებ უფრო გადაჭრით აი, რა აზრს დაადგა თავად-აზნაურობა თავის მოქმედებაში:

„გარდა გადმოსახლებულთ. საქმის გაუქმებისა და საერობო დაწესებულებათა შემოღებისა, რომ საჭიროთ მოეწყოს და გადაწყდეს მიწის საკითხი, დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ გათანაწილებულ იქნას ყველა კატეგორიის გლეხები უფლებრივად (სახაზინო, მესაკუთრე, ყოფილი საეკლესიო, დროებით ვალდებული, ხიზნთა და სხვათა)**“.

თავად-აზნაურობის აზრით ყოველი შეურნე სოფელში უნდა ყოფილ იყო აღჭურვილი ერთი უფლებით და ერთი მოვალეობით და ამასთანავე ყველანი ერთგვარად უნდა ყოფილიყვნენ მოწყობილი მიწით და მთავრობის დახმარებით. მე ვგონებ, ამის წინააღმდეგ ვერა თქმის რა დღესაც და ამიტომ როგორ შეიძლება მხარი დაუჭიროთ იმისთანა კანონპროექტს, რომელიც ახალს არას მოასწავებს გლეხკაცობისათვის გარდა იმისა, რომ ვითომ მათ საკუთრებათ ეძლევათ მათთვის თვალსაზრისით, რასაკვირველია, მომხრენი ვართ მიწა საკუთრებად დაუმტკიცოთ სოფლის მუშაკთ, მაგრამ არა ისეთი კანონებით, რომელიც არევის მეტს, ანარხიის მეტს არაფერს უქადის ჩვენს ხალხს.

ჩვენი პარტია.

ქუთაისის ორგანიზაცია.

შაბათს, 8 თებერვალს, პარლამენტის წევრმა გ. ვეშაპელმა წაითხა საჯარო მოხსენება დამუშავებული კრებისა და პარტიების შესახებ; ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი: ოპონენტათ გამოვიდა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი ბ. თორაძე, რომელმაც სათანადო პასუხი მიიღო მომხსენებელისაგან.

შემდეგ მოხდა საორგანიზაციო თათბირი. ეროვნულ პარტიის ქუთაისის კომიტეტის თავდომარედ არჩეულია კ. კაპანელი, მდივანთ დ. ლოლობერიძე, წევრებად ნ. ლორთქიფანიძე, ი. გაბაშვილი და ქ. კასრაშვილი შესდგა აგრეთვე ქუთაისის მზრის კომიტეტი; პარტიის ბიურო მოთავსებულია ორპირის ქუჩაზე დ. ლოლობერიძის სახლში, სადაც წინად მოთავსებული იყო ეროვნულ-დემოკრატიული ბიურო...

ამ დღებში ქუთაისში გამოვა სავანგებო საარჩევნო ვახეთი ეროვნული პარტიისა.

ზესტაფონის ორგანიზაცია.

სულთშაბათს, 6 თებერვალს, გ. ვეშაპელმა წაითხა საჯარო ლექცია დამუშავებულ კრებაზე; ოპონენტებად გამოვიდნენ ივ. გომარათელი, რაფ. ჩხილაძე, ა. პაპავა და იოს. მაჭავარიანი;

ზესტაფონში უკვე მოწყობილია შორაპანის სამაზრო კომიტეტი ეროვნულ პარტიისა შესარიონ კელენჯერიძის თავდომარეობით;

ეროვნულ პარტიაში გადმოვიდა ბოსლევის რაიონის მთელი ეროვნული დემოკრატიული ორგანიზაცია.

ქალაქ ზესტაფონში ეროვნულმა პარტიამ

* отчет о деятельности земельной комиссии Дворянства Тифлисской Губернии 1907—1908 წ.წ. გვ. 20.

** იქვე გვ. 19.

ტიამ გაიყენა 1 — ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატიებმა — 5.

საჩხერის ორგანიზაცია.

პარასკევს 7 თებერვალს, საჩხერეში შესდგა გ. ვეშაპელის ლექცია დამუშავებული კრების შესახებ; ადგილობრივმა სოც.-დემ. ორგანიზაციამ სავანგებოდ დაიბარა ოპონენტად ბ. ნ. ი. გომარათელი; სხვა პარტიების წარმომადგენელთ არ უღაპარაკიათ; ლექციას დაესწრო მრავალი გლეხობა, რომელიც ტაშისციემით შეხვდა ეროვნულ პარტიის პროგრამის განმარტებას.

საჩხერეში მოწყობილია საორგანიზაციო კომიტეტი ეროვნული პარტიისა, რომელმაც უკვე გახსნა საარჩევნო ბიურო ა. კაპანაძის მალაზიაში.

მოხალისეთა ჯარის შეგროვება საქართველოში.

საგარეო მინისტრის ნოტა ყველა სახელმწიფოთა მისიებს.

თფილისში მყოფ ყველა უცხო სახელმწიფოების მისიათა უფროსებს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ნოტა დაუგზავნა: „თფილისში მიღებულ ოფიციალურ ცნობებით მოხალისეთა ჯარის სარდლები სოჩის აღების შემდეგ აპირებენ დახვრიტონ იქ მყოფი საქართველოს ყველა თანამდებობის პირნი: სახელმწიფო ქონებათა გამგე და გლეხთა კავშირის თავდომარე ვასილივეი, შრომის კომისარი ინჟინერი ცვანგერი, პუბლიცისტი პეტროვი (გარბი) და სხვა. აღნიშნული პირნი ცნობილნი არიან შთეორუნეთში თავისი წარსული მოღვაწეობით და ჩვენთან საპასუხისმგებლო თანამდებობანი ეჭირათ. ვუწყებთ ამას თქვენ აღმატებულებათ, რათა მიიღონ თქვენის მხრით შესაფერი ზომები მოხალისეთა ჯარის სარდლობის მიერ თავის მტრად მიჩნეულ პირთა ასეთ დასჯის ასაცილებლათ. საქართველოს მთავრობა გიცხადებთ, რომ თუ მოხალისეთა ჯარის სარდლობამ ასეთი შემადრწუნებელი საქმე ჩაიდინა, ან თუ რაიმე რეპრესიებს მიმართა ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ მათი წარსული მოღვაწეობისა და ან საქართველოს რესპუბლიკისადმი სისასტიკისთვის, მაშინ საქართველოს მთავრობა სასტიკ ზომებს მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ და რაიმე კავშირი აქვთ მოხალისეთა ჯართან. საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჰკორი.

მინისტრის ნოტა ინგლისის მისიას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ინგლისის მისიის უფროსს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა:

„თქვენ აღმატებულების მოხსენება, რომ საქართველოს მთავრობამ არა ერთხელ განაცხადა სოჩის ოლქის დაკლის სურვილი მხოლოდ იმ პირობით, რომ მომხდარიყო სადავო ზონის ნეიტრალიზაცია და იქ ინგლისის ჯარის ნაწილი დაბანაკებულიყო. საქართველოს მთავრობის აზრით საკითხის თავიდან აცილებია შეტაკება საქართველოსა და მოხალისეთა ჯარს შორის. მოხალისეთა ჯარის მზაკვრული თავდასხმა და საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყება ნათელყოფს ასეთ შეხედულების სისწორეს ამ ფაქტიდან გამომდინარეობს ერთი ურყევი დასკვნა, რომ ასეთი თავდასხმების თავიდან აშორების მიზნით საქართველოს მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ საქართველოს მოსაზრებებ ნაწილი მოხალისეთა ჯარს ეჭიროს. ამის გამო საქართველოს რეს-

პუბლიკის მთავრობა წინააღმდეგობა აღიკვეთს მოხალისეთა გაიწმინდოს სოჩის ოლქი მოხალისეთა ჯარისაგან და მოხდეს მისი ნეიტრალიზაცია ინგლისის პიკეტების იქ შეყვანით, ვიდრე ამ სადავო ზონის საკითხი საბოლოოდ საზავო კონფერენციაზე გადაწყდებოდეს.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მოხალისეთა ჯარის წინსვლის დაუყოვნებლივ შესაჩერებლათ. საკითხის გადაჭრის ჩვენ მიერ ნაჩვენებმა საშუალებამ თანაგრძობა უნდა ჰპოვოს ინგლისის ჯარის სარდლობის მხრივ რათა აღდგინდ იქნეს წესიერება და აცილებულ იქნას მომავალში შეტაკებანი. ჩვენმა წარმომადგენელმა ბათუმში პოლკოვნიკ გედევანიშვილმა ოფიციალურად გვაუწყა, რომ თებერვლის 7-ის წარუდგა ბათუმის გენ. გუბერნატორს განსაკუთრებულ მნიშვნელობის ორ საჩქარო საქმეზე მოსალაპარაკებლათ. ეს საქმეები იყო: 1) შემთხვევა, როცა მდ. კოლოქის ხილთან მდგარმა მცველმა რაზმა სროლა აუტეხა საქართველოს მოსაზრებ დარაჯებს თებერვლის 5-8 დამეს, რომლის დროსაც დაიჭრა ქართველი ჯარისკაცი. 2) თებერვლის 5 სოფ. არაღიდში უკანონოდ დაპატიმრეს საქართველოს არმიის ოფიცერი აბაშიძე, რომელიც არმიით ბორჩხაში მიდიოდა შობილების სანახავათ. პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა უთხრა გენ. გუბერნატორის ადიუტანტს, რომ ის მოვიდა მნიშვნელოვან და საჩქარო საქმეზე მოსალაპარაკებლათ და საჭიროა პირადად მოელაპარაკოს გენერალ გუბერნატორს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც გედევანიშვილს განუცხადეს, ავადმყოფობის გამო გენ.-გუბერნატორმა ვერა სცნო შესაძლებლათ მიეღო იგი, როგორც იმ დღეს, ისე მეორე დღეს, როდესაც პოლკოვნიკი გედევანიშვილი მეორეთ მივიდა მასთან. მიმანია რა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს პოლკოვნიკ გედევანიშვილისადმი ბრიტანის წარმომადგენელის მიერ ბათუმში ასეთი მოპყრობა შეურაცყოფათ და სრულიად დაუშვებლათ, ჩემი მთავრობის დავალებით ვაცხადებ ვენერგიულ პროტესტს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელისადმი ასეთი მოპყრობის გამო და ვაცხადებ, რომ საქართველოს მთავრობამ პოლკოვნიკი გედევანიშვილი გამოიწვია ბათუმიდან, ვიდრე ბრიტანის მისიისაგან შესაფერ დაკმაყოფილებას არ მიიღებს. საგარეო საქმეთა მინისტრი. ე. გეგეჰკორი.

რა უნდა იყო დასაწყისი უოვალმა ამოპრჩავულმა

(ამონაწერი დამუშავებული კრების არჩევნების კანონიდან).

საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა 53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არცერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. კანერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამკვირვალის სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობის საარჩევნო ბარათების.

59. ბარათები და კონვერტები დაშვებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და საოლქო წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაუბრუნოს თვითველ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და საოლქო საზოგადოების საარჩევნო კომისიები მზადდებიან პირამორტილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითველ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შევძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვება: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წესრიგი დაირღვა, ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიის შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავჯდომარის მოთხოვნა არაა, ასე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

72. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიღის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დაშვებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

შენიშვნა: საბატო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩითვლოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოღებული ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი ახის, ან თუ ისეთ კონვერტში დგეს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩითვლება.

არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, მოახვეს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოადგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობთა, დასჯელის (НАКАЗАНИИ) მუქარითა, მოტყულებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიკურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების შექონის თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვედვით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწყსობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში, — დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვედვით.

102. ვინც უწყსობით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსაპოვით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გიმოიყვანოს საარჩევნო უფლება, — დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვედვით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში, — დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვედვით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვინა ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნუშნულის მიზნით.

100. ვინც განზრახ დამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევით, დათვლის ან გამოკვეყნების დროს, ან და განზრახ ვააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შესცვლის საარჩევნო წარმოებას, დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვედვით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში, — დაისჯება დატუსაღებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსჯელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოეწიება, — დაისჯება დატუსაღებით.

ქართველ მიგრაციულ ქართველთა ლეგიონი

იწვევს მონაღისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად! მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა! მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა. ლეგიონის სარდალი ლეო კერესხელიძე.

მეხილეთ ა მხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი ვაგონოვით და ფუთოვით, როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში. იარბუჯაში, მუხრანთან სახლი ამხ. „ქართლი“.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაფთხის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

გელეფონი № 18-81.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5.

„კლდის“ ბიზნეს-კონსულტი
 დამფუძნებელი კომპანია
 ბრიგოლ ვეფახელის
 „ნახ.-დამოკრთიული პარტია“
 დამით ვაჩხაძის
 „მუღმივი ჯარი თუ“
 „სახალსო მილიცია“
 მინილ მაჩაბელის
 „მიწის საკითხი“
 ვალვა ქარუშიძის
 სამღვთო სკულის
 სწავლაჲს გაუკმაგბა.
 თითო წიგნის ფასი 15 შუკრი.

საქართველოს მუხრანისა და მიწის მასაჲსკრთის კავში რის საბჭო.
 ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარათინ-სკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ბათუმის ქართველთა
 ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოამუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.